



## საქართველოს პრეზიდენტის განცხადება ძირს უთხრის კანონის უზენაესობასა და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს

28 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთვის სიტყვით<sup>[1]</sup> მიმართვისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ **მზადაა** ევროსაბჭოს ეგიდით მაისში დაგეგმილ ღონისძიებაზე **ქვემოთ** ტერიტორიების შესახებ **ქ** საქართველოს **კანონის გვერდის ავლით** უმასპინძლოს რუსეთის ფედერაციის დელეგაციას, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს.

აგვისტოს ომის შემდეგ მიღებული **ქ** ტერიტორიების შესახებ **ქ** საქართველოს კანონი ადგენს იმ ტერიტორიების სტატუსს, რომლებიც **ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად** და ადგენს ამ ტერიტორიების განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, მათ

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შორის, მოიაზრებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვას. კანონის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში შესვლა აკრძალულია.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, კანონის უგულებელყოფის გაცხადებული განზრახვა **სწორედ იმ სახელმწიფოს დელეგაციის წევრთა** სასარგებლოდ, რომლის სამხედრო აგრესიის შედეგაცაა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, საგანგაშოა და ეწინააღმდეგება ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

გარდა ამისა, პრეზიდენტის განცხადება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელის ქვაკუთხედიც კანონის უზენაესობაა. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას კი აზრი ეკარგება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ხელისუფლება არ ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონით მკაფიოდ განსაზღვრულ ჩარჩოებში. უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობის უგულებელყოფა იქნება გზავნილი, როგორც საერთაშორისო, ისე ქართული საზოგადოებისთვის, რომ კანონის მოთხოვნები ფორმალურაა და თანამდებობის პირები თავად გადანყვეტენ, როდის შეიძლება მათი დარღვევა.

იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მოქმედების უზრუნველყოფა ევალეა არა პრეზიდენტს, არამედ საქართველოს მთავრობას,<sup>[2]</sup> არასამთავრობო ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს დაუყოვნებლივ გაკეთდეს მკაფიო და საჯარო განცხადებები  ტერიტორიების შესახებ  საქართველოს კანონის უზენაესობისა და აღსრულების უზრუნველყოფაზე.

*ხელმოწერი ორგანიზაციები:*

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

ღია საზოგადოების ფონდი (OSGF)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**  
**GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION**



მწვანე ალტერნატივა

მრავალეროვანი საქართველო

ადამიანის უფლებათა ცენტრი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)